

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# ფროეპი

ცალკე ნომერი ღირს შაუბათი

**განცხადება:** მიიღება ქართულს რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.  
**უსტი განცხადებები:** დღედა ასო-კმით ასოზე—1 კაპ., სსო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციფროთი—5 კაპ., პატრა—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

**რედაქცია:** სოლოლაკზე, ბ.ღის ქუჩაზე, მელოქიშვილის სახლში, № 43  
**კანტორა რედაქციისა:** მელოქიშვილის სტამბაში, ბან.ნოვის ქუჩაზე.

**ხელის-მომწერა:** მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакцію газ. „Дროება“.

**გაზეთის უსტი:** მთელის წლის—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოახის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

## ცალკე ნომერი

- „დროებისა“ იწყილება:
- გარტანოვის წიგნის მალაზიაში (ტუკის ხიდზე, მიწხოვეის შენობაში)
- ბრიჭუროვის წიგნის მალაზიაში (ტუკის ხიდთან, ზუბალოვის სახლში)
- „სულთანის“ თამბაქოს მალაზიაში (სულის ქვეშ).
- „ქარდანახის“ სარდაფში (სასახლის ქუჩაზე, არწრუნის ქრავსლაში)
- აზნაუროვის თამბაქოს მალაზიაში (ბულვარზე)
- ბრიგოლოვის მალაზიაში („აფკაზის სასტუმრის ქვეშ, მიწხოვეის სახლებში).
- ჯიმშოროვის თამბაქოს მალაზიაში (ტუკის ხიდზე).
- ქუთაისში—სპ. ჩომახიძისთან (ბანის სტამბაში).

უმოკრეილესად ვთხოვთ იმ ჩვენს ავანტურას, რომელთაც რედაქციასთან თავიანთ ხელის-მომწერალების ანგარიში ჯერ კიდევ გასწორებული არა აქვთ, რაც უმიძღვება მალე გარდასწორდნენ ანგარიში და ხვედრი უფალი გაზეთისა გამოგზავნონ რედაქციაში.

## ფალტონი

**იმერეთ—სამეგრელოდამ \***  
 — ბუნება. ამინდი.—მოსავალი და წასავალი.— ორპირი.—საჯვანო.—სამი შკოლა. (ზაგრძელება)  
 სამტრედიიდან ორპირამდი ფაიტონები მუშაობენ და ამისათვის მე ჯანჯალ ცხენზედ ქანაობა აღარ მომიხდა. ათი საათი კი იქნებოდა, როცა ორპირში მივედი—დიდ კაცურათ, ფაიტონში მამოჭიმული. პარასკევი დღეა და ორპირში „პარასკეობა“ იყო. თითქო მუქათა იძლევიანო, ყველა დამშუულივით აფრინდებოდა სავაჭროებს! აქეთ ურია ცდილობს აუბას თვალი მუშტარს, იქით მეგრელები და იმერელები ეჯიბრებიან ურიას. როგორც იმერელ-მეგრელი ურიაც ატყუილებს მუშტარს, მაგრამ ამას მაინც მეტი მისდევს. „არა ბატონო, ისთვეე ურიასთან

## ტელეგრაფები

### ბრძოლის ველიდან

**ქალდახარა, 8 აგვისტოს.** პოლკოვნიკის შელკოვნიკოვის ოტრიადი, რომელსაც ჯავშნიანი გემებიდამ მიტრალიოზებით უშენდნენ ყუმბარებს, გავიდა მაგრინის ხეობა; გაჰყარა ბაგრადამ აბხაზები და დაიჭირა ბაგრიშის აული. მოგვიკლეს 2 და 6 დაგვიჭრეს. იქაური მცხოვრებლები, ზარდაცემულები მოულოდნელად რუსის ატრიადის მოსვლით, შემორიგებას თხოულობდნენ.

მთელი არე-მარე მდ. ბზიბამდინ დატლილია, მტრისაგან აუარესულად და სამხედრო სურსათი დავატოვებინეთ მტერს.

**ვენა, 10 აგვისტოს** ნემენცურს გაზ. „Polit. Corresp.“ შემდეგი ამბავი მოსვლია ბუხარესტიდან: რუსეთსა და რუმინიას შუა კონფენცია გათავებულია, რუმინი-

სათვის ძიელ სასარგებლო პირობებით. რუმინიაში რუსები განკანგულებას უერებიან-საზამთროდ მომზადებისათვის. ადგილებათ, სადაცეს სამხედრო სურსათები უნდა შეინახონ, ამოუჩევიათ: ტურნ-სავერინი, ზიმნიცი და ტურან მაგარელი. ტუსტენჯი ძიელ გაუმაგრები-თ რუსებს.

**პარიში, 10 აგვისტოს.** სულთანს ბრძანება გამოუტია-სათადარიგო ჯარებს თავი მოუყარონ ბოლგარიაში და მცირე აზიაშიდ. პორტას სამხედრო მინისტერიც საზამთროთ ომების მომზადების განკარგულებას უგრება. ჩერნოგორიე-ლეთსა ბიქშიხე იერიშით მისვლა გასაახლეს და დაიკავეს კიდეც იმის უმთავრესი სიმაგრე.—შექველია, რომ ნიკშიჩი მალი იქნება ღებული ჩერნოგორიელებისაგან.

**ბორნი-სტუდენი, 10 აგვისტოს.** მომქმედი არმიის სარდალის ტელეგრამმა. უკანასკნელი ცნობებიდამ ჩანა, რომ

ჯობია ვაჭრობა!“ ბამოკნაეის ერთი. „თვერ ვიყიდი ნაკლებათ ურიისგან, ქედინახავ!“ ამბობს მეორე.—მობრძანდი შენიჭირიმე, კნიაზო, ქალბატონო, ევათ მოქცემ—ე!“ ღრიალებს ურია.  
 ეს პარასკეობაც რომ აღარ მქონდეს, რაღა იქნები, ორპირო! იან შენი მტერი, როგორც ბოლო მოღებულიც შენ დარჩებოდი! მარა ეს ერთი დღე კვირაში შენთვის შემოუწირავსთ და ამაში მაინც ვერავინ შემოგეცილებს!... ჰეი, გიდი, შენცა გქონდა, ორპირო დრო! შენც იყავი ერთხელ თავმოწმონე და კეკლუცი! თუმცა დაბა იყავ, მაგრამ ბევრი ქალაქებიც შეგნატროდნენ! მართხელ შენშიაც იყო ღელვა და მოძრაობა! ამპარტავნულად უცქეროდი შენ შენს მოძმეებს! ბევრს უფურდა შენი ბედნიერება! შენს რიონს ამშვენივდნენ ერთხელ პატარა გემები!... მაგრამ მუხთალმა წუთმა სოფელმა აღარ გაცალა, შეუფურდა შენი ბედნიერება და გამოგისხლიტა ის

ხელიდამ!... მაგრამ ეხლაც არა გიშავსრა! ღღეს სამხედრო ქალაქის სახე მივიღია, სხვანაირი ფერი დაგდებია. ღღემდი დაცემული ვაჭრობა, ღღეს ფეხზე წამომდგარა. ამას გარდა კიდე უფრო სანუგეშო შემთხვევა,—ღღემდი განშორებულნი, ღღეს შეერთებულხართ, როცა რიონზედ ხიდი გაუკეთებიათ. ღღემდი ძმები, ერთი ჩამომავლობისა და სისხლისანი იყავით, მაგრამ ღღემდი გაყრილები, ბედნიერი ხართ ღღეს ხილით. ღღემდინ რომ ვაღმა—გამოღმდიამ გასჭყვივლებდი ერთმანეთს, ღღეს ისე მოხდა, რომ შეგიძლიანთ ერთი მეორესთან მიხვიდეო და ამბავი გაიგოთ! იქნება ვინმე არ იცოდეთ, თუ რათ ქვიან ორპირს-ორპირი? იმიტომ, რომ ეს დაბა რიონის ორივე,გაღმა-გამოღმა, ნაპირებზეა და,ამას გარდა, თითოეულ ნაპირზედ ღუქნები ორ-ორ პირად არიან ჩამწკრივებულები. (ბამოღმა კი ეხლა სამ პირათაც ირის, მაგრამ ეს არაფერი).

\*) „დროება“ № 119

ჩვენი ჯარები მუდამ გაუწყნარებელიც  
ემბიან შიკოსთან რამდენიმეჯერ მო-  
მდგარს მტერს ბენ. რადეკი მისაშვე-  
ლებლად მიდის. მუშინდელი იერიშით  
მოსვლა მათრების ლოჭინდამ სიღვია-  
ზე, შევაჩერეთ, დღეს ისევ განახლეს.  
ჩვენს ჯარებს სიღვიის წინ უჭირამთ  
ადგილები. პლენას წიაამდღე კი ჯერ  
სრული მშვიდობიანობა არის. რუშჩუ-  
კი, რაზგრადის მსკი-ჭუმის და შუმლის  
მხრიდან მტერმა რამდენიმეჯერ განიზ-  
რახა ჩვენი დარაჯების ადგილების მოკ-  
ვეთა.

**გორანი-სტუდენი, 10-ს აგვისტოს.** მო-  
ქმედი არმიის სარდალის ტელეგრამ-  
ში: უშინს აქეთ შიკოსთან გაუწყნა-  
რელი ჩხუბია. თანდათან, ახალი დე  
ახალი ჯარები ემატება მტერს, და იერი-  
შით მოსვლასაც ახშირებს, მაგრამ, ჯერ-  
ჯერობით, ჩვენი ყოჩაღებით ყოველთ-  
ვის უკან გავაბრუნეთ, დიდის ზარა-  
ლით.

**გორანი-სტუდენი, 11 აგვისტოს.** მომ-  
ქმედი არმიის სარდალის ტელეგრამში:  
შიკოსთან ჩვენი ჯარები მეტის-მეტად  
იერიშით მოსულები, უკუ ვაქციეთ ასე,  
რომ 10 აგვისტოს მტერი მხოლოდ  
თოფებს გვიშენდა. მათგან აგებული  
ბატარეები ავალბინეთ გაუწყნარე-  
ბელი სრულით, რომლის დროსაც სა-  
მი ზარბაზანი გადუეარდათ ხრამში.

როგორც ვატყობთ მათს ძალას არ აკ-  
ლდება. ჩვენი ახალი ძალა დღეს, დამით,  
მოგვეშველენ. ამათგანს—ზოგს 40 და  
ზოგს 56 ვერსტი უელიათ დღეში. ჩვე-  
ნი ზარალი შედარებით იმდენი არ არის;  
სამწუხაროდ რაზმიდამ მხოლოდ ბევრი  
აფიცრები მოგვაკლდა. მსამალოს მხრით  
აუარებელი ზარალია. ჩვენი ჯარების  
წინამძღოლი შიკოსთან იყო გენერ-  
ლები ლორჟინსკი და სტოლეცოვი.

რადგან გუშინ ფოჩტა დაგვიგვიანდა,  
ამის მიზეზით ამ ნომრისთვის „ომის ვე-  
ლიდამ ამბები“ სრულიად ევდარ მოვას-  
წარი.

### საქართველო

#### დღიური


\* \* \* მათს ჩვენს მეგობართაგანს მო-  
უფიდა შორის უფსილდამ მეგობრის წე-  
რილი, რომლიდამაც ნება მოგვცა—  
ზოგიერთი შესანიშნავი ადგილი იქილამ  
ჩვენი მკითხველებისათვისაც გაგვეზარე-  
ბია. საქმე აიქრამი მდგომარეობს: ერთს  
სოფლის მასწავლებელს, გლეხების კრე-  
ბაში. ურჩივია ამათთვის, რომ შკოლა  
გამართონ თავის სოფელში. გლეხები  
არამც თუ დათანხმებულან ამ რჩევაზე,  
ბევრი ლანძღვა და მწარე სიტყვებიც უ-  
თქვამთ ამ მასწავლებლისათვის. სხვათა  
შორის, აი რა სამწუხარო და საფულის-  
ხმო სიტყვები უთქვამთ ამ გლეხებს თავი-  
ანთ მდგომარეობაზე: „თქვენ ბატონებო,

რიონო, რათ ჩაფიქრებულხარ ეგრე  
ღრმად? ნუ თუ შენი დღენი მუდამ ამ  
განუკლებელ ფიქრებში უნდა იმყოფე-  
ბოდეს?... მე მიყვარხარ, რიონო, მისთვის,  
რომ ბევრ რამეებში მგვეხარ. შენი ბედი  
ჩემა ბედს მაგონებს! შლონო და უწყი-  
ნარი ხარ შენ სხვა წყლებზედ. შენ არ  
უნახვიხარ და ვერც განახავს კაცი მრის-  
ხანე გუნებაზედ, აღშფოთებულს; ყველა-  
ფერს მუდამ გულ გრილათ შეპყურებ.  
ახე გასინჯე, შენი მოსისხარი მტერი  
რომ სელთ მსხვერპლათ ჩავივარდეს,  
იმაზედაც კი გულის ჯავრს არ იყრი;  
არც მაშინ აგიდუღდება სისხლი და არ  
იყვი: „ესლა მაინც დავამტერივო ამას  
ცაჰირპირიო!...“ ღიახ, რიონო, ბევრი  
მსგავსება გაქს შენჩემი, ბევრი, გარდა  
თავისუფლებისა... შენ არ შეგიძლიან  
იყვე სხვანსირი, როგორიც აქა ხარ, მე-  
კ შემიძლია!... ახლა, რიონო, ხუდავ,  
თავზედ გადაგალაჯეს. მეტის მეტი თავდაბ-  
ლობით წიხლქვეშ გაგაგდეს. შინ ვაბე-

დავდა შენზედ ხიდის გადება ეფიქრან?...  
მაგრამ მახლას! „ბატარეება მიჩვენე, გაქ-  
ცევას გიჩვენებო“, ისე მოხდა სწორეთ!  
\* \* \*  
მრბირილამ საჯავახოსაკენ ქვევითათ  
გავსწივე, რადგანაც აქ ცხენების სიძვირე  
შექნილა. ზურგ დატყავებული ცხენი  
აქ ეხლა ბედაურათ მფაჩნიათ და ბედაუ-  
რიდ რაშათ. მისაც ცხენი არ ჰყოლია თა-  
ვის გაჩენილამ, ისიც კი ყოველ ღონის  
ძიებას ხმარობს, ოღონდ ცხენი იყიდოს,  
რომ აიღოს ქირა სამხედრო საჭიროების  
გარდასატანად სხვა და სხვა ალაგებში.  
სალამო ხანს დაეუკარ თავი, მივესალ-  
მე საჯავახოს, აბაშას!  
აბაშაზედ და აბაშელებზედ არ ვიცი,  
რა ვსთქვ! როგორ არ ვიცი, „სათქმე-  
ლა ბევრი მაქვს, მაგრამ პირი წყლითა  
მაქვს სავსე“. აქაურები თურმე მიბეგვას  
მიპირებდნენ მე იმ ორიოდ სიტყვისათ-  
ვის, რომელიც იმათზედ ვილაცას უთქ-  
ვას და ვაზეთში დაუბეჭდიათ! მაშ უმ-

რომელთაც რომ კეთილი გსურთ ჩვენ-  
თვის, ჯერ იმდენი წყალობა გვიქენით,  
რომ მოგვეშორეთ ეს ბატონი დანაპირ-  
მელიც ამ ჩვენს საწყალს და უღელის  
ქვეშ მოდრეკილს ყელს თან-და-თან  
ღრმად გვიჭრის და მემრე გველაპარა-  
კეთ შკოლების გამართვაზე და ჩვენი  
ბალებების განათლებაზედ.—ჯერ აგვა-  
შორეთ იმ უანგარიშო მცარცველებს,  
„ბატონებს“, რომლებთ შორის თქვენც  
ბრძანდებით, ჩვენო განმანათლებლო  
და შემდეგ გველაპარაკეთ ჩვენს მომა-  
ვალს კეთილს დღეობაზედ. რას არ  
ვშვრებთ?! ჩვენ ვიხდით სახელმწიფო  
ხარჯს, ამის საჭიროებას ჩვენ კარგათ ვგრ-  
ძნობთ.. ჩვენ ვაშენებთ ეკლესიებს და ვი-  
ნახავთ იმაში მლოცველს მღვდელს; ჩვენ  
ვაშენებთ აგრეთვე შკოლებს და ვინახავთ  
ამ შკოლის მასწავლებელს, ვაკეთებთ  
გზებს, არ ვანობთ ვარს სახელმწიფო  
საქმისათვის ვაწვევავ, ომში გავდივართ,  
ხშირად ერთად-ერთს მოჯახის მუშას  
ვწირავთ ხელმწიფეს და სხვა და სხვ.  
შინ მოსთვლის ჩვენს შრომას და თავ-  
განწირულობას! — აბა, თქვენ თავათ  
სთქვით, უფალო უჩიტელო, შესაძლებე-  
ლია თუ არა თქვენი რჩევის მიღება რა  
იმისთანა მუშაობაში იყვენეთ, ვავინებ  
დავთ მოგედის ბრძანება, თავათ მამასა-  
ხლისის ხელით—გასაწვევში გამოდითო.  
შინ მოვიტანთ ან მოვიყვანთ რამე  
ჭირნახულს, უნდა გაგეყოთ, თქვენ „ბა-  
ტონებს“—ეს მღვდელსო, ეს ეკლესია-  
სო, ეს შკოლასაო, ეს მის მასწავ-  
ლებელსაო, და კიდევ ვინ იცის რამ-  
დენ სხვას... ძეგები ჯერ ჩვენაც არ შე-

ჯობესია ჩაფიქმდე, თორემ...  
შარშან და წინა წლებში აქ „ბაღნებ-  
მა“ (აქ ხომ კაცი არ დაბერდება: ხუთი  
წლისასაც „ბაღანა“ ეძახიან და ოცწ-  
ლისასაც) სთქვეს, რომ სასოფლო შკო-  
ლა გავეკეთებინათ. აუხსნეს იმისი სარ-  
გებლობა, საჭიროება და... მაშინ, მგო-  
ნი, არ მოუფიდათ ქუჩაში, უთუოდ მი-  
სთვის, რომ „ბაღნების“ ნათქვამი იყო,  
მხლა,—რას მიბრძანებთ, ბრძენს უთ-  
ქვამს, თუ ისევ იმ ბაღნების სიტყვა მი-  
ულიათ,—აქ შედგომიან შკოლის საქმეს.  
როგორ შედგომიან!.. შექრობენ, თუ  
ვინმე იმედებს მიცემს და გზას გაუკა-  
ფავს? მხლა აქ არის საჭირო თაოსნობა,  
მორთვე, რომ წადილი აუხდინონ. და აქ  
ისეთი ხალხია, რომ, თუ მოკიდეს ხელი,  
გაუთავებელს არ დააკლებენ!  
თეოდ. ძანდელია  
(დასასრული შემდეგ №-ში)



გვიზილნა, გაიხედავ, რომ გიბრძანებენ—  
ძნები შემომიტანო, რადგან ჩემს მიწა-  
მამულზე გაქვს ყანებიო. ჩემს ტყეში  
დაღიხარ, შემა მეტუნდა შემომიტა-  
ნოო... შესამდობის წესით ვინმეს მი-  
წაზე ვმუშაობთ, სულაც რომ არა მო-  
გვივიდეს რა—თუ გინდ ყელი გაიჭერი,  
თაისი წილი მამულის პატრონს მაინც  
უნდა მიართო... და სხვა. და სხვა. აბა  
ბატონო, განათლებულო, შესაძლებელია  
თქვენი რჩევის მიღება, თუ არა.

ამ დაურღვეველი ჭეშმარიტების მოქმე-  
ლი გლენები, მართლა რომ ერთობ გა-  
ჭირებულ მდგომარეობაში ყოფილან,  
თორემ ასე გაბედულად და აშკარათ  
ამის თქმას ვერ გაბედავდნენ. სოღუც  
არის ამ გეგმის მდგომარეობაში ჩაფარ-  
დნის ხალხს ვინმემ უთხრას ან ურ-  
ჩიოს—კიდევ რომელიმე ახალი ხარჯის  
გამოღება...

\* \* \* ს. ახალქალაქილამ გეწერენ, რომ  
იქ ქართული სცენის მოყვარეთა წარ-  
მოდგენა გაუმართავთ იქაური „შემნა-  
ხველ-ვამსესხებელ ბანკის“ სასარგებლოდ.  
წარმოუდგენიათ „მინდა კნენა გავხდე.“  
ხარჯს გარდა, —როგორც გეწერენ, ბან-  
კის სასარგებლოდ შეიღ თუმან ნახევ-  
რამდინ დარჩენილა. —მსვე კორრესპონ-  
დენტი გეწერს, რომ, ამ მოკლე ხანში,  
ამავე პირების თაონობით, მეორე წარ-  
მოდგენა უნდა გაიმართოსო — ს. ხაფ-  
ლის სასოფლო შკოლის სასარგებლოდ.

\* \* \* ბ.ზ. „ბაკკაში“ დაბეჭდილია, რომ  
ბაქოს გუბერნატორისაგან მოსული ცნო-  
ბებით ვტყობულობთ, რომ ბაქოს ზო-  
გიერთ მხარეში წლის სამყოფი პური-  
სა და თივების მოსავალი ყოფილა. —  
მხოლოდ ლენკორანის, ჯავახის და  
ზოკის მხარეში უჩივიან მოსავალსაო,  
რადგან იქ, გაზაფხულის დასაწყისში,  
წვიმები თითქმის სულ არ ყოფილა. ამ  
გვარსავე ამბებს იწერებიან მოსავლის შე-  
სახებ მრევნის გუბერნიდამაცო.

\* \* \* „დროების მე 112 ნომერში და-  
ბეჭდილის შენიშვნის შესახებ მოგვივი-  
და შემდეგი წერილი:

„შეაღო რედაქტორო!  
„დროებაში“, ამ აგვისტოს 3-სა  
112, არის გამოცხადებული, ვითომ  
ამას წინათ მთაწმინდის ეკლესიაში,  
ორი თუ სამი კრუჟკა, დაკარგულიყოს,  
რომელშიაც 120 მანეთი ყოფილა. ეს  
ამბავი სრულებით ტყუილი არის და სი-  
ცრუით მოგონილი: არც კრუჟკა დაკარ-  
გულა და არც ფული. ეს მე ვიცი ჭეშ-  
მარტათ, რადგან ეკლესიის ფულის  
შესავალ-გასავლის ანგარიში ჩემს ხელში  
არის, ამისათვის გთხოვთ ამ ჩემს შენი-  
შვნას მისცეთადგილი თქვენს გაზეთში,

რომ იმ ფულების დაკარგვა სარწმუნო  
ამბათ არავენ მიიღოს.

პოლონეთის ასესორო დ. შინელივი  
6 აგვისტოს, 1877 წ.

„დროების“ მე 112 №-ში, მზურგე-  
თილამ დაბეჭდილს კორრესპონდენცი-  
აში შემდეგი შეცდომები მოგვიხდა:  
ერთგან არის დაბეჭდილი — „გურული  
მილიციონერები ირიცხება 3,200 ცხე-  
ნო-სნეებო“ — უნდა იყოს: „გურუ-  
ლი მილიციონერები ირიცხება 3,200  
კაცი, გარდა ცხენოსნებისა“.  
მეორე ალაგას არის დაბეჭდილი: „ბა-  
სილეთის კასის ფული სამოცი  
თუმანი შეუქამით სოფლის მოხელე  
პირებსაო“ — უნდა იყოს ასე: „ბა-  
სილეთის კლასის გასაწყობი სამოცი  
მანეთი შექმული არის სოფლის  
მოხელე პირებისაგან.“

„დროების“ კორრესპონდენცია

ზორი, 30 ივლისს. აგერ რამოდენიმე  
თვე გავიდა ზორს ზეციური ნამი არ  
ღირსებია. საშინელი სიციხები და ქუჩე-  
ბში კოჭებამდისინ მტვერ-ნაგავი. ამას  
დაუმატეთ ხმელი ქარიც, რომელიც თი-  
თქმის მუდამ დღე განუწყვეტლივი ზუ-  
ზუნით ამტვერიანებს ქუჩებს და უზუთ-  
აეს ადამიანს სუნთქვას. თუ არ ეს და-  
ლოცილი მტკვარი, შენი მტერი ჩვენ  
ვიქნებოდით: უზიარებლად სულელები გა-  
გვეპარებოდა; მაგრამ, დალოცოს ღმე-  
რთმა, დილა-სალამობით მდევარში  
ბანაობით ვარილებთ აღუღებულ გულს  
და ტენს.

როტონდა თავისი აღრინდელი დანი-  
შნულება მიუტოვებია და სათეატრო  
შენობათ გადაქცეულა. რაღა დარჩა ზორს  
დროების გასატარებელი და გასართობი  
საშეაღება? — საღამოს პოეზი. მე არის  
ერთად ერთი ალაგიდ შემთხვევა, სადაც  
მუდამ დღე კაცი კაცს ნახავს, თავს გა-  
მოიჩენს, თვალს წყალს დააღვეინებს,  
იჭორიკანავებს, ახალ-ახალ ამბებს შეთ-  
ხნავს და ერთი მეორეს გარდასცემს. თი-  
თქო დანაძლევებულები ვართო, გადაი-  
ხრება თუ არა მზე? გავრბივართ დაფიქ-  
რებულები სტანციისაკენ. მაგრამ, უბე-  
დურება, რომ ამ მოკლე ხანში ხიდმა თა-  
ვი დაგვიკრა, დაგვეშვიდობა და სტან-  
ციაზედ ტარებაც აგვიკეთა! ძალიან ბე-  
ჯითად კი აკერებენ და აწებებენ ყოველ  
მხრიდამ ხიდს, მაგრამ ვინ იცის, როდე-  
მდი გასტანენ ეს ნაკერ-ნაკერები!.. „ზო-  
რის ქალაქის გამგეობა არ იძლევა ფუ-  
ლებსაო, თორემ აპირებენ ახლის გაკე-  
თებასაო!“ ღმერთმა ჰქნას, რომ გვად-  
როვოს, ფულებს უცადოს ჩვენმა გიჟმა  
მტკვარმა! მაგრამ, რა ჩვენი საქმეა, —  
როცა სურთ, მაშინ გააკეთებენ!

ზორის ჯარი ძალიან შეთხელდა, თი-  
თქმის სულ აღარ არის. ნაცვლად ამისა  
გამრავლებულა ძალღმობი. სწავა ქუჩებისა  
რა მოგავსენოთ, და ღმერთმა მტერსაც  
აშოროს იმ ქუჩაში გავლა, საცა შ.  
თავი სცხოვრობს — ერთი ლეკვი დაიწ-  
კმულიებს და ღუეინებით ქოთაკები გა-  
მოცვივდებიან ყოველ მხრიდამ. აბა  
მარჯვეთ! ქვეშ არ მოგიგდონ ან ხევი-  
საკენ არ დაგიტორონ. ძაღლები საჭი-  
როა, მაგრამ ქუჩაც საჭიროა, მგონი. —  
შეკარავენ ამ სწავლებას, არ გეწყი-  
ნოსთ: ერთ ქვეყნის განათლებულ და  
გონება გამჭრიახ ხალხს მოუგონია კა-  
რგი საშეაღება: კბენარებს ყელზედ  
ჯაჭვს ჩააბამენ და ბოძზედ მიაკრენ დღი-  
სით, რომ ადამიანს უზიფათოთ გავლა-  
გამოელა შეეძლოს; როცა დაღამდება  
და ფეხის ხმა მიწყნარდება, მაშინ ახლიან  
ყელზედ ჯაჭვს და აუშვებენ კბენარებს  
მეორე დილამდე. შიიგო არ იქნებოდა  
ჩვენ გორელებსაც რომ გამოეყენებინათ  
ეს ახლად მოგონილი სწავლა.

ამ შეფაიტონებზედ და ყასპებზედაც  
საყვედური იმის ძალაქილამ სტანციამდი  
ან უკან რომ უნდა ორი აბაზი აიღონ  
შეფაიტონებმა, ამის ნაცვლად ხამ კაცს  
თურმე თითო მანათსაც ახდევინებენ  
და თუ არ მისცემთ, ისე გავლანძლამენ,  
რომ მტკვარმაც ვერ გავრცხოსთ. შას-  
პები, რაც კარგაკარგი, საუცხო-  
ვო ნაჭერებია, თხვილი-თხვილი კაც-  
ებს, ბობოლაებს უნახვენ თურმე და ასე,  
ჩვენისთანები რომ მივიდეთ ისეთ ნაჭ-  
რებს მოგვეცემენ, თითქო ძაღლის ნათ-  
რევიავო, ფასს კი ერთს ვინდით.

სხვა რაღა? მოსავლის კარგი ამინდე-  
ბი არ აქვს: უწყვილობა და ქარები! ღმე-  
რთმა იცის, რა იქნება!..

— მე —  
P. S. ეს წერილი 30-ს ივლისს მქონდა და-  
წერილი და უწყვილობას მაშინდელს დროს ვუ-  
ჩივი. 4-ს და 5-ს აგვისტოს ზორისკენაც კარგა  
სამყოფი წვიმები იყო.

უცხო ქვეყნები

ინგლისი  
29 ივლისს იყო ინგლისის ლორდე-  
ბის პალატის სხდომამა, რომელზედაც  
ლორდი პოლჩესტერი კიდევ შეეხრა „აღ-  
მოსავლეთის კითხვას“. ამან კითხვა უც-  
ხო ქვეყნებთა საქმეების გამგე მინისტრს  
— მიაქცია მართებლობამ ყურადღება თუ  
არა, იმ ხმას, რომელიც ავსტრიის  
გაზეთებს დაუყრიათ, რომ ვითომც  
ინგლისის მართებლობამ გარდაწყვიტაო  
მოიცადოს იქამდისინ, სანამ მსამალოს  
დაპყოფდნო და შემდეგ მიიღოს „აღმო-  
სავლეთის კითხვის“ გათაებაში მონაწი-

